

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N234

2008 წლის „2“ სექტემბერი

ქ.თბილისი

„საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე რეფინანსირების
სესხების გაცემის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
29-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების
შესაბამისად, ასევე ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო
პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით ვბრძანებ:

მუხლი 1.

1. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე
რეფინანსირების სესხების გაცემის შესახებ თანდართული დებულება.
2. ამ ბრძანების დაუყონებლივ ამოქმედება განპირობებულია ქვეყანაში
შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ფულად-საკრედიტო
ამოცანებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მართვისა და
საპროცენტო განაკვეთების რეგულირების მიზნით.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დ.ამაღლობელი